დანართი #1

„დამტკიცებულია“
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის
2020 წლის 21 ივლისის # 02-03/23 ბრძანებით

# სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ კოლეგიური ორგანოს მმართველი საბჭოს დებულება

## თავი I
## ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.**

ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში „მაუწყებელი“) მმართველი საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებსა და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**მუხლი 2.**

საბჭო წარმოადგენს მაუწყებლის კოლეგიალურ ორგანოს, გათვალისწინებულს მაუწყებლის დებულების მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით.

**მუხლი 3.**

საბჭო თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე.

**მუხლი 4.**

საბჭო თავისი ფუნქციების და ამოცანების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დებულებით და წინამდებარე დებულებით.

## თავი II
## საბჭოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

**მუხლი 5.**

საბჭოს საქმიანობის მიზანია მაუწყებლის მიმდინარე საქმიანობის შეუფერხებელი, ხარისხიანი მართვა დადგენილი/განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

**მუხლი 6.**

საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) მიმდინარე ორგანიზაციული საკითხების ეფექტური და კოორდინირებული გადაჭრა;

ბ) სტრატეგიული აქტივობებისა და მოქმედებების აღსრულების მონიტორინგი.

**მუხლი 7.**

დასახული ამოცანების შესრულებისას საბჭო უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მაუწყებლის სიტუაციური ანალიზი, სვოტ ანალიზი, გარემოს ანალიზი;

ბ) განსაზღვროს ორგანიზაციის გენერალური მიზნები და ძირითადი მიმართულები;

გ) განიხილოს და შეათანხმოს თითოეული მიმართულების მიერ მომზადებული პრიორიტეტები და სამოქმედო გეგმა;

დ) უზრუნველყოს ბიუჯეტის პროექტის განხილვა, კორექტირება და მრჩეველთა საბჭოსთვის წარსადგენად მომზადება;

ე)განახორციელოს ახალი სტრატეგიული პროექტების განხილვა, მათი ხარჯეფექტიანობის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება;

ვ) განახორციელოს მნიშვნელოვანი პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი და შედეგების განხილვა, შეიმუშავოს რეაგირების გზები გამონაკლის შემთხვევებზე;

ზ) განიხილოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტები და მიიღოს გადაწყვეტილებები;

თ) მოახდინოს დასახული მიზნებისა და პრიორიტეტების შესრულების პერიოდული გადახედვა/ანალიზი;

ი) უზრუნველყოს მიმდინარე მართვისას წარმოქმნილი ყოველდღიური პრობლემური საკითხების დროული განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

კ) უზრუნველყოს თანამშრომლების/დასაქმებულთა ანაზღაურებისა და მათი წახალისების საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება;

ლ) განიხილოს მაღალ პოზიციებზე თანამშრომლების მიღების საკითხი;

მ) უზრუნველყოს კოლეგიალური ორგანოების რეგლამენტის/დებულების განხილვა;

ნ) გადაწყვიტოს კოლეგიალურ ორგანოებზე განხილული საკითხები (რომელიც კონკრეტულ საბჭოზე ვერ გადაწყდა);

ო) უზრუნველყოს ორგანიზაციის წინაშე მდგარი რისკების, საფრთხეების და რეპუტაციული საკითხების განხილვა და რეაგირების ზომების მიღება;

პ) უზრუნველყოს დამატებითი შემოსავლების (რეკლამების, დონორების) გეგმების მიხედვით მომზადებული ანგარიშების განხილვა, გამონაკლისების გამოვლენა და რეაგირების გზების დასახვა;

ჟ) უზრუნველყოს საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და აღსრულების მონიტორინგი.

რ) უზრუნველყოს მაუწყებლის სამსახურების კვარტალური ანგარიშების განხილვა და შეფასება;

ს) უზრუნველყოს მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების განხილვა, რომლის ინიცირებაც განახორციელა მართველი საბჭოს წევრმა.

## თავი III
## მმართველი საბჭოს შემადგენლობა

**მუხლი 8.**

ა) საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია მაუწყებლის დებულების 3.6. მუხლის „ა“ პუნქტით.

ბ) საბჭოს თავმჯდომარეა მაუწყებლის დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მაუწყებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გ) საბჭოში მუდმივ ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება საქმიანობაში ჩაერთონ სხვა პირები საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით;

დ) საბჭოს სხდომებზე მოწვეული სტუმრის სტატუსით შესაძლოა დაესწრონ მაუწყებლის თანამშრომლები განსახილველი საკითხის მიხედვით;

ე) საბჭოს სხდომა, როგორც წესი, ღიაა, მაუწყებელში დასაქმებული ადამიანებისთვის. სხდომა შეიძლება დახურულად გამოცხადდეს დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით;

**მუხლი 9.**

ა). საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ. საბჭოს სხდომას იწვევს თავმჯდომარე;

ბ). საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ორი მესამედი მაინც;

გ). საბჭო მორიგ სხდომაზე განიხილავს წინა სხდომაზე მიღებული რეკომენდაციის შესრულების პროცესს;

დ) საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე დამსწრე პირთა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღოს რეკომენდაციები, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება დირექტორს; დირექტორი მაუწყებლის დებულების 3.3. (აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ასევე მოქმედებს კოლეგიური ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა) და 5.3.2. (აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი: გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა განკარგულებებს, რაც სავალდებულო შესასრულებელია აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებისათვის;) პუნქტების თანახმად ღებულობს გადაწყვეტილებას;

ე). საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე;

ვ). საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის მდინის ფუნქცია მაუწყებლის დირექტორის მიერ შეიძლება დაეკისროს მაუწყებლის თანამშრომელს; საბჭოს/სხდომის მდივანი უზრუნველყოს ორგანიზაციული ხასიათის საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, საბჭოს შეხვედრების საოქმო ჩანაწერების წარმოებას;

ზ) სხდომის ოქმში აისახება: საბჭოს დასახელება, სხდომის ადგილი, მისი დაწყების დრო, განხილვის საგანი, სხდომის მიმდინარეობა, საბჭოს შემადგენლობა, დამსწრეთა ვინაობა, სხდომაზე მიწვეულ პირთა ვინაობა, კენჭისყრის შედეგები, მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი, სხდომის დასრულების დრო;

თ). საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვასა და დაცვას უზრუნველყოფს საკადრო ბაზის განვითარების სამსახური.

## თავი IV
## დასკვნითი დებულება

**მუხლი 10.**

საბჭოს დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.